

დამტკიცებულია:	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N02-2020 დადგენილება	16.01.2020
შეტანილია ცვლილება:*		

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი

მუხლი 1. საბაკალავრო ნაშრომის მიზანი

1. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესასრულებელ ნაშრომს საბაკალავრო პროგრამის ბოლო სემესტრში, რომლის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების სისტემატიზაცია და გამოვლენა.

მუხლი 2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თჰუ-ს აკადემიური (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი) ან მოწვეული პერსონალი.
2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ზედამხედველობდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესს, კვლევისა და ნაშრომის დასაცავად წარდგენის პროცესში გაუწიოს სტუდენტს სათანადო კონსულტაციები საკონტაქტო საათების ფარგლებში;
3. ხელმძღვანელი გასცემს დასკვნას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ.
4. სტუდენტისთვის საბაკალავრო ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევა

1. საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევის პროცესს წარმართავს შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. იგი თანამშრომლობს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და ადგენს საბაკალავრო ნაშრომის თემების ჩამონათვალს.
2. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი დამამთავრებელი სემესტრის პირველ სასწავლო კვირაში სტუდენტებს წარუდგენს საბაკალავრო ნაშრომის თემებს, საიდანაც სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს მისთვის საინტერესო თემა.
3. სტუდენტისთვის საბაკალავრო თემის დამტკიცება ხდება დამამთავრებელი სემესტრის დასაწყისში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმება

1. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 35 გვერდზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამავე ფორმატის 50 გვერდს. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს სტანდარტული შრიფტით (Sylfaen), ძირითადი ნაწილის ზომა 12, სათაურები და ქვესათაურები - ზომა 14; სტრიქონებს შორის

მანძილი - 1,5 ინტერვალი;

2. საბაკალავრო ნაშრომი შეიძლება მომზადდეს სოციალურ მეცნიერებებში დამკვიდრებული APA-ს სტილის (ამერიკელ ფსიქოლოგთა ასოციაცია), ჩიკაგოს ან MLA გამოყენებით;
3. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კომპონენტები:
 - ა) **თავფურცელი** - წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს დანართში მოყვანილი ნიმუშის მიხედვით;
 - ბ) **სარჩევი** - საბაკალავრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს. მასში უნდა აისახოს ნაშრომის ყველა თავის, ქვეთავისა და პარაგრაფის დასახელება გვერდების ნომრების მითითებით. გვერდების ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან;
 - გ) **ანოტაცია** - საბაკალავრო ნაშრომი შეიძლება შეიცავდეს ანოტაციას ანუ მოკლედ, არაუმეტეს ორ გვერდად ჩამოყალიბებულ საბაკალავრო ნაშრომის თემის აქტუალურობას, მიზნებსა და დასკვნებს;
 - დ) **შესავალი** - ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანის (ამოცანების) შინაარსი, საკვლევო საგანი, გამოყენებული მეთოდები, მატერიალურ-ტექნიკური თუ საინფორმაციო რესურსები;
 - ე) **ტექსტის ძირითადი ნაწილი** - შეიძლება დაიყოს თავებად (პარაგრაფებად). მასში უნდა ჩანდეს გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის პოცესის ეტაპები და შედეგები;
 - ვ) **დასკვნა** - წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელმაც უნდა უპასუხოს ყველა იმ ამოცანას, რომელიც ბაკალავრს გამოაქვს საჯარო დაცვაზე, შესაძლებელია მოიცავდეს რეკომენდაციებსაც;
 - ზ) **გამოყენებული ლიტერატურა** - 1) ლიტერატურის ნუსხა წარმოდგენილი უნდა იქნას ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ - უცხოურ ენებზე; 2) სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, გვერდები; 3) წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას საჭიროა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, გამოცემის ქალაქი, გამომცემლობა, წელი, გვერდების საერთო რაოდენობა; 4) ტექსტში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა – ცხრილები, დიაგრამები, სურათები, სქემები - უნდა გადაინომროს. მაგალითად, ნაშრომის თავის ნომერი და ცხრილის ნომერი - 1.1, 1.2 და ა.შ. საილუსტრაციო მასალამ შეიძლება მოიცვას ნაშრომის ტექსტის არა უმეტეს 1/3-ისა. საილუსტრაციო მასალის დარჩენილი ნაწილი უნდა განთავსდეს დანართებში; 5) საბაკალავრო ნაშრომის ტექსტში კონკრეტული ნაშრომის განხილვისას და ავტორისეული მოსაზრების დაფიქსირებისას მრგვალ ფრჩხილებში უნდა ჩაიწეროს მისი ინიციალი, გვარი და ნაშრომის გამოქვეყნების წელი; მაგ: (ი. ჭავჭავაძე; 1955); 6) ტექსტში გამოყენებული ციტატების ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს ავტორის ინიციალი, გვარი, წელი და გვერდი. მაგ: [ი. ჭავჭავაძე, 1955: 10]; ტექსტში ჩართული ციტატა უნდა ჩაისვას ბრჭყალებში და დაიბეჭდოს დახრილი შრიფტით (იტალიკით); 7) ინტერნეტში განთავსებული წყაროები, რომლებიც ნაბეჭდი წყაროსგან მხოლოდ გამოქვეყნების ფორმით განსხვავდება, მიეთითება შესაბამისი ნაბეჭდი წყაროს მსგავსად: ავტორის სახელი, სახელწოდება, თარიღი და ა.შ. ამ მონაცემების შემდეგ მიეთითება URL მისამართი და ბოლო წვდომის თარიღი; იმ შემთხვევაში თუ ავტორი არ არის დასახელებული, უთითებთ ვებგვერდის მფლობელი ინსტიტუციის სახელს, „გვერდის სათაურს,“ ვებგვერდის სახელწოდებას, URL მისამართსა და ბოლო წვდომის თარიღს. 8) ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნეს მოყვანილი ნაშრომის ბოლოსაც; 9) შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია სქოლიოების სახით, საჭიროების შემთხვევაში, დაერთვის თითოეული გვერდის ბოლოს უწყვეტი ნუმერაციით, რომელიც წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით. შენიშვნების/სქოლიოების შრიფტის ზომა: 10.

თ) **დანართები** (საჭიროების შემთხვევაში) დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.

4. **საბაკალავრო ნაშრომის** ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის გამოტოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. ინომრება ყველა გვერდი, გარდა თავფურცელისა.

მუხლი 5. აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის დეტექცია

1. თჰუ-ს სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან უნივერსიტეტის მიერ აღიარებული აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები, რომლებიც გაწერილია უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესში;
2. სტუდენტი ვალდებულია საბაკალავრო ნაშრომი პლაგიატის დეტექციისათვის წარმოადგინოს არაუგვიანეს მე-14 სასწავლო კვირისა.
3. ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში მასალის ტექნიკურ ატვირთვას და გადამოწმებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.
4. ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით მიღებული შედეგები, ნაშრომის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ეცნობება სტუდენტს და ფაკულტეტს (მათ შორის ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს).
5. ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი განიხილავს პლაგიატის დეტექტირების შედეგებს და წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას ნაშრომის დაცვისათვის დაშვება/არ დაშვების შესახებ.
6. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს ეგზავნება ნაშრომი და შესაბამისი შედეგები და ეძლევა გონივრული ვადა (არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა) მის გამოსასწორებლად.
7. სტუდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ გაასწოროს ნაშრომი პლაგიატის დეტექტირების შედეგებზე დაყრდნობით. ხელმეორედ პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომი არ ფასდება, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ნაშრომი წარმოადგინოს შემდეგ სემესტრში.

მუხლი 6. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირება

1. საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტს განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. რეცენზენტი წერს მოკლე რეცენზიას ნაშრომის შესახებ, რომელიც წარედგინება შესაბამის კომისიას ნაშრომის საჯარო დაცვამდე. რეცენზენტი ვალდებულია უარყოფითი დასკვნის შესახებ წინასწარ (ორი კვირით ადრე მაინც) აცნობოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელსა და სტუდენტს;
2. რეცენზენტმა ნაშრომი უნდა შეაფასოს შედეგი კრიტერიუმებით: ნაშრომის სტრუქტურა; ნაშრომის აქტუალობა, პრობლემის ფორმულირება, საკითხის დასმა; კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები; მეთოდოლოგია, რეცენზიის სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს: ნაშრომის ფორმალური მხარის შეფასება, ნაშრომის ტექნიკური მონაცემები ნაშრომის ენობრივი და სტილისტური ფორმულირება, დიაგრამები, ტაბულები, მატრიცები, ციტირების ფორმატი, ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება, პრობლემის დასმა, ლიტერატურის შეფასება ნაშრომის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შეფასება, დასკვნების ლოგიკურობა, საკითხები, რომლებიც დამატებით განმარტებას მოითხოვენ და სხვ.;
3. რეცენზენტი გასცემს რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ.

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის საჯაროდ დაცვა

1. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია,

რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 5 წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარე არის ფაკულტეტის დეკანი ან შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი;

2. კომისიას უნდა წარედგინოს საბაკალავრო ნაშრომის ერთი ეგზემპლარი დაცვამდე 5 კალენდარული დღით ადრე;
3. კომისიას პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დაცვაზე განსახილველად წარედგინება საბაკალავრო ნაშრომის პლაგიატის აღმომჩენ ელექტრონულ პროგრამაში გატარების შედეგად მიღებული დასკვნა;
4. ნაშრომის საჯარო დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება სულ მცირე 15 წუთით; დაცვის პროცესში სტუდენტს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება;
5. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მსვლელობასა და შედეგებზე დგება საბოლოო ოქმი.

მუხლი 8. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება და კვალიფიკაციის მინიჭება

1. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დასკვნითი შეფასება გულისხმობს საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვას/პრეზენტაციას კომისიის წინაშე, რასაც მოჰყვება დისკუსია;
2. საბაკალავრო ნაშრომის ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებს ადგენს ფაკულტეტი.
შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
3. საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით დაცვაზე წარმოდგენა შეიძლება იმავე სემესტრში, კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება 41-50 ქულა /FX-ის ვერ ჩააბარა/ საფუძველზე - არანაკლებ 5 - დღიანი შუალედის დაცვით;
4. ნაშრომის დაცვის შედეგი ფიქსირდება დაცვის ოქმში/უწყისში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი;
5. საბაკალავრო ნაშრომი თანდართული ხელმძღვანელის დასკვნით და რეცენზიით, ინახება საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან/ შესაბამის ფაკულტეტზე;
6. საბაკალავრო პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით შესრულებისა, საბაკალავრო ნაშრომის დაცვისა და დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში (51-100 ქულა) კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და გაიცემა სათანადო დიპლომი;
7. დიპლომის დანართში საბაკალავრო ნაშრომი შედის, როგორც ცალკე პუნქტი და ფასდება, როგორც სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული შემაჯამებელი სავალდებულო კომპონენტი.

მუხლი 9. დათქმა

1. წინამდებარე ინსტრუქცია არის საერთო თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ყველა საბაკალავრო პროგრამისათვის, თუ ცალკეული პროგრამა არ ითვალისწინებს დამატებით მოთხოვნებს.



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

საბაკალავრო ნაშრომი

თემის დასახელება

ხელმძღვანელი: გვარი, სახელი

ხარისხი, აკადემიური თანამდებობა

თბილისი

20



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის საბაკალავრო ნაშრომის
ხელმძღვანელის დასკვნა ნაშრომის საჯარო
განხილვაზე დაშვების/არდაშვების თაობაზე

ფაკულტეტი _____

საბაკალავრო პროგრამა _____

სტუდენტი _____

საბაკალავრო ნაშრომი თემაზე

ხელმძღვანელის დასკვნა და კომენტარები

ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

თარიღი _____

დეკანი _____

დანართი 1.3



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის რეცენზენტის დასკვნა ნაშრომის
საჯარო განხილვაზე დაშვების/არდაშვების თაობაზე

ფაკულტეტი _____

საბაკალავრო პროგრამა _____

სტუდენტი _____

საბაკალავრო

ნაშრომი

თემაზე

რეცენზენტის დასკვნა და კომენტარები

--

რეცენზენტის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის დეკანი _____

დანართი 1.4

საბაკალავრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების უწყისი
 საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა/პრეზენტაცია

ფაკულტეტი

საბაკალავრო

პროგრამა

№	სტუდენტის სახელი გვარი	ნაშრომის შეფასების კომპონენტები					შეფასება
		თემის აქტუალობის დასაბუთება, მასალის მოძიება, ბიბლიოგრაფიული წყაროების შერჩევა და შესწავლა, გეგმის შედგენა (მაქსიმუმ 20 ქულა)	ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან, გამოყენებული ლიტერატურის ანალიზი, ძირითადი თეზისების ფორმულირება, მეთოდოლოგია, ფაქტობრივი მასალის ფლობა, კვლევის ანალიზის უნარი (მაქსიმუმ 30 ქულა)	გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია, ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა (მაქსიმუმ 30 ქულა)	პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება (მაქსიმუმ 10 ქულა)	პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება) პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან (მაქსიმუმ 10 ქულა)	
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრების ხელმოწერა

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

კომისიის მდივანი

თარიღი